

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №24

ქ. თბილისი

23-24.10.2012

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

კახი ყურაშვილი - შპს თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
ანა კლდიაშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი (სხდომის მდივანი);
რუსუდან ტყეშელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;
ლალი ღოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;
დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭილაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;
ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
კონსტანტინე ჩოკორაია - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ჟუჟუნა წერეთელი - შპს - პანაცეას დირექტორი;
2. ინგა ალავერდაშვილი - შპს - პანაცეას ხარისხის მართვის მენეჯერი;
3. გოჩა ლომიძე - შპს - „სინათლის“ დირექტორი;
4. ხვიჩა ჩალაბაშვილი - შპს - „სინათლის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი;
5. რამაზან გოჩოუ - შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის დირექტორი;
6. ქეთევან მაწეკპლაძე - შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის წარმომადგენელი;
7. საფფეთ ბაირაქთუთან - შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების რუსთაველის სახ. სკოლა - ლიცეუმის დირექტორი;
8. გიორგი ჯანაშია - შპს - ბიზნესისა და მართვის კოლეჯ „ჯორჯიას“ დირექტორი;
9. ლიანა ჯანაშია - შპს - ბიზნესისა და მართვის კოლეჯ „ჯორჯიას“ წარმომადგენელი;

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №24

ქ. თბილისი

23-24.10.2012

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

კახი ყურაშვილი - შპს თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

ანა კლდიაშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი (სხდომის მდივანი);

რუსუდან ტყეშელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;

ლალი ლოდელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭილაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ლამა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

კონსტანტინე ჩოკორაია - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;

ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ავტორიზაციის მადიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ჟუჟუნა წერეთელი - შპს - პანაცეას დირექტორი;

2. ინგა ალავერდაშვილი - შპს - პანაცეას ხარისხის მართვის მენეჯერი;

3. გოჩა ლომიძე - შპს - „სინათლის“ დირექტორი;

4. ხვიჩა ჩალაბაშვილი - შპს - „სინათლის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი;

5. რამაზან გოჩოთუ - შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის დირექტორი;

6. ქეთევან მაწკეპლაძე - შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის წარმომადგენელი;

7. საფფეთ ბაირაქთუთან - შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების რუსთავის რუსთაველის სახ. სკოლა - ლიცეუმის დირექტორი;

8. გიორგი ჯანაშია - შპს - ბიზნესისა და მართვის კოლეჯ „ჯორჯიას“ დირექტორი;

9. ლიანა ჯანაშია - შპს - ბიზნესისა და მართვის კოლეჯ „ჯორჯიას“ წარმომადგენელი;

10. მზია ქათამაძე - შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ გორგასალის რექტორი;
11. ზაურ ჯინჯოლავა - შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ გორგასალის რექტორის მოადგილე;
12. კოტე აბულაძე - შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ გორგასალის რექტორის მოადგილე;
13. ხათუნა ამდლოშელი - შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ გორგასალის ხარისხის სამსახურის უფროსი;
14. კახა ლიპარიშვილი - შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ გორგასალის მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
15. ნოდარ ხარაზიშვილი - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
16. ეკატერინე გიგაშვილი - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ წარმომადგენელი;
17. ნია გოგუაძე - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ წარმომადგენელი;

ავტორიზაციის ექსპერტები:

- ნოდარ ანგურიძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
თამარ გვიანიშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:39 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაავალა ანა კლდიაშვილს.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ - თეთნულდისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
2. შპს - პანაცეას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - „სინათლისათვის“ მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის

განხილვა;

4. შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების რუსთავის რუსთაველის სახ. სკოლა - ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - ბიზნესისა და მართვის კოლეჯ „ჯორჯიას“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა.
8. შპს - უმაღლესი სასწავლებელი „განათლების აკადემიის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი გორგასალის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შეამდგომლობა. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭილაძემ, აღნიშნა, რომ ცენტრში შემოსული იყო სსიპ - პროფესიულ კოლეჯ - თეთნულდის დირექტორის წერილობითი შეამდგომლობა, რომლითაც ის ითხოვდა საკითხის განხილვას დაწესებულების წარმომადგენლების დასწრების გარეშე საბჭოზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო. საბჭომ გაიზიარა აღნიშნული შეამდგომლობა. ნანა ჭილაძის განმარტებით საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 18 ოქტომბრის სხდომა გადაიდო ქვორუმის არ არსებობის გამო, 18 ოქტომბერს საკითხის განხილვის გადადება სურდა შპს - უმაღლეს სასწავლებელ „განათლების აკადემიას“, აღნიშნული დაწესებულების წარმომადგენლები არ იმყოფებოდნენ არც 23 ოქტომბრის ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 18 ოქტომბრის საბჭოზე წარდგენილი შეამდგომლობა დაერთოს ოქმს და შესაბამისად შპს - უმაღლეს სასწავლებელ „განათლების აკადემიის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა გადაიდოს. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წერილობით ან ზეპირი შეამდგომლობა საკითხის 23 ოქტომბრის საბჭოზე განხილვასთან დაკავშირებით არ არსებობდა, რაც დამატებითი მიზეზი იყო საკითხის განხილვის გადასადებად. საბჭომ გაიზიარა აღნიშნული შეამდგომლობა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:

1. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ - თეთნულდისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
2. შპს - პანაცეას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - „სინათლისათვის“ მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
4. შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების რუსთავის რუსთაველის სახ. სკოლა

- ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
- 6. შპს - საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
- 7. შპს - ბიზნესისა და მართვის კოლეჯ „ჯორჯიას“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა.
- 8. შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ გორგასალის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
- 9. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

შენიშვნა: შპს - საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვისას აღმოჩნდა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ საბჭოს სხდომას. კახი ყურაშვილი დაინტერესდა იყო თუ არა ცნობილი საბჭოს სხდომის შესახებ დაწესებულების ხელმძღვანელობისათვის. ცენტრის თანამშრომელმა კონსტანტინე ჩოკორაიამ აღნიშნა, რომ 18 ოქტომბრის საბჭოს სხდომის გადადების შემდეგ ტელეფონით მოხდა დაკავშირება შპს - საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსთან, ბატონ გოჩა თუთბერიძესთან. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მხოლოდ სატელეფონო საუბარი არ იყო საკმარისი საკითხის განსახილველად, დღის წესრიგი უნდა გამოქვეყნებულიყო ვებ-გვერდზე ან/და შესაბამისი მოწვევა, საბჭოზე დასწრებასთან დაკავშირებით უნდა გაგზავნოდა კოლეჯს. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკითხის განხილვა ამ შემთხვევაში დაწესებულების წარმომადგენლის გარეშე, კოლეჯისათვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების გამოყენების შესაძლებლობას უქმნიდა პრობლემას. კახი ყურაშვილმა დააყენა შუამდგომლობა საკითხის განხილვა გადადებულიყო. კახი ყურაშვილმა ითხოვა დღის წესრიგში, ომში ასახვით, განხორციელებულიყო შესაბამისი ცვლილება. რასაც საბჭოს წევრები დაეთანხმნენ.

საბოლოო დღის წესრიგი:

1. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ - თეთნულდისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
2. შპს - პანაცეას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - „სინათლისათვის“ მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
4. შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულების რუსთავის რუსთაველის სახ. სკოლა - ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - ბიზნესისა და მართვის კოლეჯ „ჯორჯიას“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა.
7. შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ გორგასალის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

1. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ - თეთნულდისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ხარვეზი არ იყო დაფიქსირებული.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ - თეთნულდისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - პროფესიულ კოლეჯ თეთნულდს მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი 080360	II საფეხური	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის (სამკერვალო-ინდუსტრიული ნაწარმის შემსრულებლის) მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30

2.	მეფილე- მომპირკეთებელი 040654	II საფეხური	მეფილე- მომპირკეთებლის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
3.	მეფილე- მომპირკეთებელი 040654	III საფეხური	მეფილე- მომპირკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30

2. შპს - პანაცეას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნაზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 არცერთ სილაბუსში, საწარმო და სასწავლო პრაქტიკის სილაბუსების ჩათვლით, არ არის წარმოდგენილი სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოცემული შენიშვნა იყო გამოსწორებული და ამის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია ცენტრში იყო წარმოდგენილი.

დაწესებულებაში მყოფ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა, ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ შენიშვნა ეხებოდა მხოლოდ სილაბუსების ფორმას, სადაც გამორჩენილი იყო ინფორმაცია იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა საგანს წინაპირობა. ლევან მადათოვმა განმარტა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადამოწმებით დაფიქსირებული ხარვეზი იყო გამოსწორებული. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ავტორიზაციის საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულებაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს არსებულ ფაქტობრივი გარემოებებზე დაყრდნობით. თუმცა, თუ კი დაფიქსირებული შენიშვნის გამოსწორების დადასტურება ამავე საბჭოს სხდომაზე დამაჯერებლად და მარტივად, საექსპერტო ვიზიტის განხორციელების გარეშე, დოკუმენტური შემოწმებითაც შეუძლია ექსპერტსა და თავად ავტორიზაციის საბჭოს შემადგენლობას, შენიშვნა შინაარსობრივად შესაძლებელია მიჩენიულ იქნეს არაარსებითად, საბჭო უფლებამოსილი და უნარიანია, გადაწყვეტილება დააფუძნოს, ბოლოს გადამოწმებულ ფაქტობრივ გარემოებებს; აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმაც.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 100-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭილაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 90 პროფესიული სტუდენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - პანაცეას ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 90-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - პანაცეას (საიდენტიფიკაციო კოდი: 417877284) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (პროფესიული კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90-ით.

3. შპს - „სინათლისათვის” მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ.

სკოლა განთავსებულია ქ. თბილისში, ბეთანიის ქუჩის N 15-ში მდებარე შენობაში, რომელიც წარმოადგენს სკოლის საკუთრებას. ფლობა დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით, რომლის მიხედვითაც, შენობის საერთო ფართობია 533,94 კვ.მ. (საკადასტრო კოდი – N 01.17.02.058.005).

შენობაში არის 14 საკლასო ოთახი, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, მანდატურის ოთახი, ლაბორატორიის ოთახი, დირექტორის კაბინეტი, ექიმის ოთახი და ბუფეტი. შენობაში არის 6 სველი წერტილი, მათ შორის 2 ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეზე.

სკოლას აქვს 182 ინდივიდუალური მერხი და სკამი. წარმოადგენილი იქნა ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

დაწესებულებას აქვს ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგიის ლაბორატორია 208 ერთეულის ჩამონათვალი, რომელიც შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

სკოლაში არის 10 კომპიუტერი, მათ შორის ერთი მუდმივად გამოიყენება მანდატურის სამსახურის მიერ, ხოლო 9 სასწავლო პროცესისთვის.

მატერიალური რესურსის დანარჩენი ნაწილი, პროგრამულ ნაწილი და ადამიანური რესურსები თანხმობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებას სურდა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 182-ით.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლის მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, განაცხადა, რომ აღნიშნულმა დაწესებულებამ ჯერ გადააჭარბა საბჭოს მიერ დადგენილ მოსწავლეთა ზღვრულ ოდენობას და შემდეგ მომართა კონტიგენტის გაზრდაზე ცენტრს, მისი ინფორმაციით სკოლაში უკვე სწავლობდა 182 მოსწავლე.

სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ გადაჭარბება იყო, თუმცა ამჟამად სკოლაში 160 მოსწავლე ირიცხებოდა.

ნანა ჭილაძემ აღნიშნა, რომ ფართის გათალისწინებით ცენტრი მხოლოდ 178 მოსწავლეზე იძლეოდა თანხმობას. მან მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, მოსწავლეთა კონტიგენტის ზღვრულ ოდენობისათვის არ გადაეჭარბებინა, რასაც შესაბამისი რეაგირება მოყვებოდა შემდგომ.

საბჭომ იმსჯელა შპს - სინათლისათვის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სინათლისათვის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33¹ მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - სინათლეს (საიდენტიფიკაციო კოდი: 215596200) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 178-ით.

4. შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმი საგანმანათლებლო პროცესს ახორციელებს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე. დაწყებით საფეხურზე სწავლება მიმდინარეობს ქართულად, ხოლო საბაზო-საშუალო საფეხურებზე მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება - ინგლისურად.

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი საათობრივი ბადე და გაკვეთილების ცხრილი აზუსტებს გაკვეთილების განრიგს დღეებისა და კლასების მიხედვით, გაკვეთილების დაწყება-დამთავრებას და გაკვეთილებს შორის დასვენებების ხანგრძლივობას, საათობრივი ბადე მოიცავს სავალდებულო საგნების სწავლებას ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი საათობრივი დატვირთვით. სკოლაში გაკვეთილები 40 წუთიანია, რაც წინააღმდეგობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

1.3 წარმოდგენილია სკოლის მიერ არჩეული და დამტკიცებული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების და სასწავლო რესურსების ნუსხა, რომელიც ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს. კერძოდ, ინგლისური, მათემატიკა (VII – XI კლასებში) და საბუნებისმეტყველო საგნები ისწავლება (ინგლისურენოვანი) სახელმძღვანელოებით, რომელთაც არ აქვთ მინიჭებული გრიფი. დირექტორის განმარტებით იგეგმება სამინისტროსგან ნებართვის აღება იმის თაობაზე, რომ საბუნებისმეტყველო და ტექნიკური საგნები სკოლაში ისწავლებოდეს ინგლისურ ენაზე სპეციალური პროგრამითა და არაგრიფირებული სახელმძღვანელოებით.

1.4 ექსპერტთა ვიზიტისას სკოლამ I-XII კლასების ჩათვლით წარმოადგინა კლასის/საგნის სასწავლო პროგრამები და თემატური გეგმები (სილაბუსები), VII –XI კლასებში (მათემატიკა და საბუნებისმეტყველო) ძირითადად ინგლისურ ენაზე. ვიზიტის დროს რთული გახდა იმის დადგენა, რამდენად პასუხობს სასკოლო სასწავლო გეგმა შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს, რადგანაც სახელმძღვანელოები უმეტესწილად (VII-XII) არაგრიფირებულია, თემატურ გეგმებში კი არ არის გაწერილი შესაბამისი მასალის ეროვნულ გეგმასთან შესაბამისობა, არ არის დაკონკრეტებული ცოდნა,

უნარები და ღირებულებები. პროგრამების ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია ინგლისურ ენაზე.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 სკოლას აქვს ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგიის ლაბორატორიები, სადაც განთავსებულია ლაბორატორიის მაგიდები, წყლის ონკანები, 1 კომპიუტერი. ლაბორატორია ნაწილობრივ (50%-60%) შეესაბამება სტანდარტულ სარეკომენდაციო პაკეტს, რომელიც უნდა შეადგენდეს 208 ერთეულს.

2.2 გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალიდან ბიბლიოთეკაში იყო მხოლოდ მე-3, მე-7 და მე-8 კლასის თურქული ენის სახელმძღვანელო. ბიბლიოთეკარის განმარტებით ბიბლიოთეკის ფონდი დამუშავების პროცესშია ამიტომ ამ ეტაპზე არ ხდება წიგნების მოძრაობის დინამიკის აღწერა, არ არის წიგნის საძიებო კატალოგი.

2.3 არ არის ადაპტირებული სველი წერტილი.

2.4 დაწესებულებას გაფორმებული არ აქვს ხელშეკრულება სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან.

2.5 სკოლაში დამონტაჟებულია უსაფრთხოების 16 ვიდეო კამერა, რომლებიც უზრუნველყოფს სკოლის შიდა (დერეფანი) და გარე პერიმეტრის კონტროლს. გარე პერიმეტრის ვიდეო კამერის პარამეტრების მონაცემები არ შეესაბამება შინაგან საქმეთა მინისტრის N1143 ბრძანებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

1.1, 1.3 და 1.4 შენიშვნებზე დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2012 წლის 10 სექტემბრის წერილი, რომლის მიხედვითაც შპს - ჩალღარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის სახელმძღვანელოები ცენტრის მიერ იქნა მოწონებული და დაწესებულებას მიეცა უფლება სწავლება განეხორციელებინა წარმოდგენილი სახელმძღვანელოებით. ამასთან, უცხო ენაზე სწავლებასთან დაკავშირებით, მომხსენებელმა განმარტა, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის არ სჭირდებოდა წინასწარი თანხმობა.

1.2 შენიშვნაზე სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა 2012 წლის 17 სექტემბერს გამოცემული №2-134 ბრძანება, რომლის მიხედვითაც სკოლაში გაკვეთილების ხანგრძლივობა განისაზღვრა 45 წუთით.

2.1 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღნიშნული დოკუმენტაციის თანახმად, სკოლამ ფიზიკურ პირ ვახტანგ რუხაძისგან 2012 წლის 16 ოქტომბერს შეიძინა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობის ნაწილი.

2.2 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა სასკოლო სახელმძღვანელოების მიღება-ჩაბარების აქტები. ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩამოთვლილი იყო საკმაოდ დიდი რაოდენობის სასკოლო სახელმძღვანელოები. მომხსენებელმა განმარტა, რომ ადგილზე ვიზუალური გადამოწმებით, საექსპერტო ვიზიტის განხორციელების გარეშე, დადგინდა, რომ სკოლას შეძენილი ჰქონდა 159 სასკოლო სახელმძღვანელო. სკოლის წარმომადგენელმა ასევე წარმოადგინა

მკითხველთა შემადგენლობისა და დასწრების აღრიცხის ჟურნალის ასლები, რომელის მეშვეობითაც ხდება წიგნების მოძრაობის დინამიკის აღწერა.

2.3 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების დირექტორმა წარმოადგინა დამონტაჟებული ადაპტირებული სველი წერტილის დამადასტურებელი ფოტომასალა.

2.4 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლამ 2012 წლის 9 მარტს გააფორმა ხელშეკრულება (ხელშეკრულების №57) სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან.

2.5 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა შპს - ალესტა სექურით სისტემისიგან უსაფრთხოების კამერის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. უსაფრთხოების კამერის ტექნიკური მახასიათებლების ადგილზე გადამოწმებით დადგინდა, რომ კამერის გარჩევადობა იყო 3 მეგაპიქსელი.

ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა ავტორიზაციის საბჭოს მიმართა შუამდგომლობით, რომ ოქმში დაფიქსირებულიყო, რომ ცენტრი, როგორც ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანო, უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გადაამოწმოს დაწესებულების პირობების შესაბამისობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-2 თავით დადგენილ მოთხოვნებთან, განსაკუთრებით იმ შენიშვნებთან მიმართებით, რისი გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტები იქნა საბჭოზე წარმოდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ცენტრი, როგორც ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანო, უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გადაამოწმოს დაწესებულების პირობების შესაბამისობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-2 თავით დადგენილ მოთხოვნებთან.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 298-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭილაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 298 მოსწავლისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 298-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმს (საიდენტიფიკაციო კოდი: 212917174) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით. შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 298-ით.

5. შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 დაწესებულება საგანმანათლებლო პროცესს ანხორციელებს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე. დაწყებით საფეხურზე ქართული სექტორის პარალელურად არის აზერბაიჯანულენოვანი სექტორიც.

1.2 სკოლაში II-XII კლასებში გაკვეთილები 40 წუთიანია, რაც წინააღმდეგობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სკოლის დირექტორის განმარტებით, დაწესებულებამ 2012 წლის 10 თებერვალს წერილით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რათა სკოლამ სწავლა განახორციელოს ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებული წესების შესაბამისად.

1.3 წარმოდგენილია სკოლის მიერ არჩეული და დამტკიცებული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების და სასწავლო რესურსების ნუსხა, რომელიც ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს. დირექტორის მოადგილის განმარტებით სამინისტროსადმი მიწერილ წერილში სკოლა ითხოვს ნებართვას, რომ საბუნებისმეტყველო და ტექნიკური საგნები სკოლაში ისწავლებოდეს ინგლისურ ენაზე და საზღვარგარეთული სახელმძღვანელოებით.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 დაწესებულებაში არსებული ლაბორატორია არ შეესაბამება სსიპ - განათების ხარისხის განვითარების ცენტრის დირექტორის №572 ბრძანებით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრებს“.

2.2 სახელმძღვანელო წიგნების სარეგისტრაციო ჟურნალში სრულად არ არის გატარებული წიგნების რაოდენობა, რის გამოც ვერ დადგინდა ზუსტი ოდენობა. ბიბლიოთეკაში სრულად ვერ მოხდა სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრიფირებული სახელმძღვანელოების მოძიება.

2.3 დაწესებულებას სსსმ მოსწავლეთათვის არა აქვს ადაპტირებული სველი წერტილი.

2.4 სკოლის ვებ-გვერდი არ ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას.

2.5 დაწესებულებას აქვს 30 უსაფრთხოების ვიდეოკამერა. წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ დადგინდა აღნიშნული კამერების პარამეტრების შესაბამისობა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით

განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ჰქონდა თუ არა დაწესებულებას უფლება სწავლება განხორციელებინა აზერბაიჯანულ ენაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა აზერბაიჯანულენოვანი სექტორი, რომლისთვისაც სპეციალური თანხმობა არ იყო საჭირო. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის არ სჭირდება წინასწარი თანხმობა.

1.2 შენიშვნაზე სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა 2012 წლის 17 სექტემბერს გამოცემული №420 ბრძანება, რომლის მიხედვითაც მე-2 კლასიდან მე-12 კლასის ჩათვლით სკოლაში გაკვეთილების ხანგრძლივობა განისაზღვრა 45 წუთით.

1.3 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის წერილი, რომლის მიხედვითაც შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის სახელმძღვანელოები ცენტრის მიერ იქნა მოწონებული და დაწესებულებას მიეცა უფლება სწავლება განხორციელებინა წარმოდგენილი სახელმძღვანელოებით.

2.1 შენიშვნასთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა 2012 წლის 28 თებერვალს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების შეძენის თაობაზე შპს - „ინსტა-ჯორჯიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება. დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა 2012 წლის 24 მარტს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის მიხედვითაც შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმმა მიიღო ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია-ანატომიის ლაბორატორიების აღჭურვილობის ერთიანი კომპლექტი (208 დასახელების).

2.2 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა სასკოლო სახელმძღვანელოების შესყიდვის დამადასტურებელი სასაქონლო ზედნადებები. ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ აღნიშნა, რომ სასაქონლო ზედნადებებში ჩამოთვლილი იყო საკმაოდ დიდი რაოდენობის სასკოლო სახელმძღვანელოები, რასაც სჭირდებოდა გადამოწმება.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე 20:12 საათზე გამოაცხადა შესვენება.

ავტორიზაციის საბჭოს სხდომა განახლდა 20:30 საათზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო სახელმძღვანელოების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მომხსენებელმა განმარტა, რომ ადგილზე ვიზუალური გადამოწმებით, საექსპერტო ვიზიტის განხორციელების გარეშე, დადგინდა, რომ სკოლას შეძენელი ჰქონდა 51 სასკოლო სახელმძღვანელო.

2.3 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას სსსმ მოსწავლეთათვის დამონტაჟებული ჰქონდა ადაპტირებული სველი წერტილი. აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულების დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა შესაბამისი ფოტომასალა.

2.4 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლის მიერ დაფიქსირებული ხარვეზი გამოსწორებული იყო. ადგილზე გადამოწმებით დადგინდა, რომ სკოლის ვებგვერდი ასრულებდა საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას.

2.5 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა შპს - „ჯორჯიან აიტი გრუპთან“ დადებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც კომპანიამ სკოლას დაუმონტაჟა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრული პარამეტრების მქონე უსაფრთხოების კამერა. აღნიშნულის დასადასტურებლად სკოლის დირექტორმა წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია.

ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა ავტორიზაციის საბჭოს მიმართა შუამდგომლობით, რომ ოქმში დაფიქსირებულიყო, რომ ცენტრი, როგორც ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანო, უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გადამოწმოს დაწესებულების პირობების შესაბამისობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-2 თავით დადგენილ მოთხოვნებთან, განსაკუთრებით იმ შენიშვნებთან მიმართებით, რისი გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტები იქნა საბჭოზე წარმოდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ცენტრი, როგორც ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანო, უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გადამოწმოს დაწესებულების პირობების შესაბამისობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-2 თავით დადგენილ მოთხოვნებთან.

სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ დამატებით შეიძინა სასკოლო მერხები. აღნიშნულის დასადასტურებლად მან საბჭოს წარუდგინა შესაბამისი შესყიდვის აქტები. ადგილზე გადამოწმებით დადგინდა, რომ დაწესებულებას შეძენილი ჰქონდა 548 მერხი.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 500-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭილაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 458 მოსწავლისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 458-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ჩალღარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმს (საიდენტიფიკაციო კოდი: 216441358) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით. შპს - ჩალღარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 458-ით.

6. შპს - ბიზნესისა და მართვის კოლეჯ „ჯორჯიას“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა.

2012 წლის 4 მაისს აკადემიური საბჭოს მიერ და რექტორის ბრძანებით განხილული და დამტკიცებულია შპს - თელავის ბიზნესისა და მართვის კოლეჯ ჯორჯიას მისია: ჩამოაყალიბოს თანამედროვე საგანმანათლებლო გარემო, აღზარდოს დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგული, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების ახალი თაობა. საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე დადგენილ სპეციალობებში. უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზება, სტუდენტების მომზადება შრომის საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნათა დონეზე.

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 56¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ავტორიზაცია არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. შესაბამისად, საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება ავტორიზაციის და არა ლიცენზიის საფუძველზე, როგორც ეს დაწესებულების მიერ 2012 წელს დამტკიცებულ მისიაშია მითითებული.

საბჭოს თავმჯდომარის, კახი ყურაშვილის განცხადებით, აშკარა შეცდომა იყო სახეზე, რადგან ლიცენზია და ავტორიზაცია განსხვავებულ სამართლებრივ ტერმინებს წარმოადგენდნენ. იგი დაინტერესდა მიუხედავად აღნიშნული ხარვეზისა, შეესაბამებოდა თუ არა მისია და კოლეჯის სტატუსი ერთმანეთს.

ლაშა მარგიშვილის განცხადებით, ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის აღნიშნული შენიშვნის ფორმულირების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელის სახე მისიიდან გამომდინარეობს და შეესაბამება მას.

კახი ყურაშვილის განცხადებით, შენიშვნას საბჭო იზიარებდა, თუმცა ამავე საბჭოს გადასაწყვეტი იყო აღნიშნული ხარვეზის არსებობის განსაზღვრა. მისივე განცხადებით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი მსგავს შეცდომას არ უნდა უშვებდეს, თუმცა, რადგან მისია ორიენტირებული იყო დაწესებულების სტატუსზე, საბჭოს შეეძლოა მოეხსნა ხარვეზი. მანვე განაცხადა, რომ დაწესებულებამ, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ექსპერტთა შენიშვნა.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 დაწესებულების მისიას წარმოადგენს "აღზარდოს ... სპეციალისტების ახალი თაობა ... ლიცენზიის საფუძველზე დადგენილ სპეციალობებში". გაუგებარია, თუ რომელ სპეციალობებზეა საუბარი და შეუძლებელია დაწესებულების მისიასთან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის დადენა. ამით დარღვეულია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 7 აპრილის №188 ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის რეკომენდაციების" მე-4 მუხლი, რომლის თანახმადაც, საგანმანათლებლო პროგრამები უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების მისიას.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, კოლეჯს ერთადერთი პროგრამა გააჩნდა. მისი განცხადებით, თუ დაკონკრეტებოდა პროგრამა, მაშინ გარკვეულწილად შეიზღუდებოდა დაწესებულება.

ექსპერტის, თამარ გვიანიშვილის განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 7 აპრილის №188 ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის რეკომენდაციების" მე-4 მუხლის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამები უნდა შეესაბამებოდეს მისიას. დაწესებულებას არ ჰქონდა მითითებული არც საქმიანობის მიზნებში და არც ამოცანებში, თუ რა სფეროში აპირებს ფუნქციონირებას კონკრეტული პროგრამების მეშვეობით, შესაბამისად, ვერანაირად დადგინდა, პროგრამა შეესაბამებოდა თუ არა მისიას.

კახი ყურაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტს, მიაჩნდა, თუ არა რომ მისიაში უნდა იყოს პროგრამების სახელწოდებების ჩამონათვალი.

თამარ გვიანიშვილის განცხადებით, რადგან დაწესებულება თავად იყენებდა ტერმინს „დადგენილ სპეციალობებში“, ლოგიკურად გაჩნდა კითხვაც, თუ რას გულისხმობდა ამ ტერმინში. შესაძლოა ყოფილიყო ტერმინი „საბაკალავრო პროგრამები“ ან სხვა. მისი განცხადებით, კონკრეტული პროგრამების ჩამოთვლა აუცილებლობას არ წარმოადგენდა.

კახი ყურაშვილის განცხადებით, სიტყვა „ლიცენზიასთან“ დაკავშირებული შენიშვნა საბჭომ არარსებითად ჩათვალა, თუმცა 1.1 შენიშვნა საკმაოდ დასაბუთებული იყო, შესაბამისად, საბჭოს აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა იგი.

“პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში” და “პროგრამაში ჩართვის მინიმალურ მოთხოვნაში” მითითებულია, რომ “საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს საშუალო განათლების მქონე პირი”. ამით დარღვეულია “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტი - ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, კვლავ ტერმინთან დაკავშირებული პრობლემა იყო. როგორც “ლიცენზია”, ასევე “საშუალო განათლება” წარმოადგენდა ძველ საკანონმდებლო ტერმინებს და ნათელი იყო, რომ დაწესებულება ძველი კანონმდებლობით ხელმძღვანელობდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, შენიშვნა მათთვის მისაღები იყო.

საბჭომ ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, აღნიშნული ხარვეზიც არაარსებითად მიიჩნია.

1.2 "ფინანსების" საბაკალავრო პროგრამის მიზანში მითითებულია, რომ ფინანსების სფეროში "ბაკალავრის აკადემიური ხარისხი იძლევა ზოგად ცოდნას ფინანსების სპეციალობის ძირითადი საკითხების შესახებ". "პროგრამის სწავლის შედეგებში", კი აღნიშნულია, რომ "ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი ფინანსების სპეციალობაში ენიჭებათ კურსდამთავრებულებს, რომელთაც გააჩნიათ ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა სპეციალობის ძირითად დისციპლინებში". შესაბამისად, პროგრამის მიზანი და შედეგები არის ურთიერთშეუსაბამო და ასევე, არ შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს პირველი საფეხურის აღმწერით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, რომლის მიხედვითაც, ბაკალავრს უნდა ჰქონდეს არა "ზოგადი" ან "ღრმა და საფუძვლიანი" ცოდნა სპეციალობის საკითხების შესახებ, არამედ, სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას.

ექსპერტის, თამარ გვიანიშვილის, განცხადებით, არ ემთხვეოდა მიზანი და შედეგი ერთმანეთს, კერძოდ, პროგრამა მიზნად ისახავდა ზოგადი ცოდნის მიღებას, ხოლო შედეგი - ღრმა და საფუძვლიანი ცოდნის. კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით, სისტემური და ღრმა ცოდნა მიიღწევა მაგისტრატურის საფეხურზე და არა - ბაკალავრიატის საფეხურზე.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, აღნიშნულ ხარვეზზე საბჭოს აუცილებლად უნდა ემსჯელა.

1.3 ფინანსების საბაკალავრო პროგრამის მიზანში აღნიშნულია, რომ "ფინანსების სპეციალობა წარმოადგენს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების დარგობრივ სფეროს", ამავე დროს მითითებულია, რომ: "ფინანსების სპეციალობა სტუდენტს უზრუნველყოფს, როგორც ტექნიკური ნიუანსებითა და ზოგადი ცოდნით, ასევე, ეკონომიკის სხვა ძირითად სფეროებთან დაკავშირებული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით". პროგრამის თანახმად, ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრმა უნდა შეძლოს "სათანადო ეკონომიკურ ღონისძიებათა შემუშავება და კონტროლი", უნდა ფლობდეს "ეკონომიკური ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების თანამედროვე ტექნიკასა და ტექნოლოგიებს", უნდა შეეძლოს "საბანკო სექტორისა და ეკონომიკის დანარჩენ სფეროებს შორის ურთიერთობების გაცნობიერება". საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ თანახმად, ფინანსების სპეციალობა მიეკუთვნება ბიზნესის ადმინისტრირების, ხოლო ეკონომიკის სპეციალობა – სოციალური მეცნიერებების მიმართულებას. შესაბამისად, ფინანსების პროგრამის მიზანი ვერ იქნება სხვა მიმართულების სპეციალობის - ეკონომიკის - ძირითად სფეროებთან დაკავშირებული ცოდნის და უნარ-ჩვევების მიღწევა. იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა, თავისი სტრუქტურიდან და შინაარსიდან გამომდინარე, არ ითვალისწინებს ეკონომიკის, როგორც დამატებითი სპეციალობის, შესწავლას.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ფინანსების შესწავლა ეკონომიკური საგნების გარეშე მისთვის წარმოდგენილი იყო და მიაჩნია, რომ ფინანსების კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს ეკონომიკის ცოდნაც. მისი განცხადებით, ბიზნესის სპეციალობა მოგვიანებით გაემიჯნა ეკონომიკას.

კახი ყურაშვილის განცხადებით, აღნიშნული გამოიწვია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №120/ნ ბრძანებით მოხდა 2010 წელს, ამდენად, ეს სიახლეს აღარ წარმოადგენდა.

თამარ გვიანიშვილის განცხადებით, აღნიშნულ გამოიწვია კანონმდებლობა 2005 წლიდან იცნობს.

კახი ყურაშვილის განცხადებით, დასკვნაში მოყვანილია ციტირებები პროგრამიდან, რომლის მიხედვითაც ფინანსები და ეკონომიკა დაწესებულებას გაიგივებული აქვს.

თამარ გვიანიშვილის განცხადებით, შესაძლებელია პროგრამაში დამატებით ყოფილიყო განსაზღვრული, თუნდაც 60 კრედიტის ფარგლებში, ეკონომიკის შესწავლა, თუმცა აღნიშნულ პროგრამაში გათვალისწინებული კრედიტების ოდენობით წარმოუდგენელი იყო ეკონომიკაში ფართო ცოდნის შეძენა.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, აღნიშნული შენიშვნა დამატებით მსჯელობას საჭიროებდა.

1.4 პროგრამის სწავლის შედეგებში (ცოდნა და გაცნობიერება) მითითებულია, რომ ბაკალავრს “გააჩნია ბიზნესის ფუნქციური სფეროების: ოპერაციული მენეჯმენტის, პროექტების მართვის და ლოჯისტიკის ცოდნა”. აღნიშნული კომპეტენცია ვერ იქნება მიღწეული, რადგან პროგრამის სასწავლო გეგმით არ არის გათვალისწინებული მითითებული სფეროების თუნდაც საფუძვლების შესწავლა შესაბამისი სასწავლო კურსების მეშვეობით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ის არ ეთანხმებოდა აღნიშნულ ხარვეზს, რადგან პროგრამის მიხედვით, მე-3 სემესტრში ისწავლება მენეჯმენტის საფუძვლები, მე-6 სემესტრში - ფილმის მენეჯმენტი, მე-7 სემესტრში - სტრატეგიული მენეჯმენტი.

თამარ გვიანიშვილის განცხადებით, ის არ იყო დარგის სპეციალისტი, თუმცა ერთი შეხედვით რაც ცალსახაა, პროგრამაში არ იყო გათვალისწინებული ოპერაციული მენეჯმენტის, პროექტების მართვის და ლოჯისტიკის შესწავლა.

საბჭოს წევრის, ლალი ღოღელიანის, განცხადებით, შესაძლებელია საგნების სილაბუსებში ყოფილიყო გაწერილი ზემოაღნიშნული კომპეტენციები.

კახი ყურაშვილმა, საბჭოს წევრებთან კონსულტაციის შედეგად, განაცხადა, რომ ორივე მხარის პოზიციის გათვალისწინებით, დაწესებულების წარმომადგენლის არგუმენტაცია აღმოჩნდა დამაჯარებელი, ხოლო საბჭომ თავი შეიკავა აკრედიტაციის სტანდარტებში შესაძლო გადასვლისაგან. ამდენად, აღნიშნული საკითხი დარჩა სადავო, ხოლო საბჭომ არც მიიღო და არც უარყო შენიშვნა. იგი, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას, მხედველობაში არ იქნებოდა მიღებული.

1.5 პროგრამის სწავლის შედეგებში (კომუნიკაციის უნარი) მითითებულია, რომ “კურსდამთავრებულს შეუძლია ერთ-ერთ ევროპულ ენაზე (ინგლისური, გერმანული, რუსული) კომპლექსური საკითხების ფორმულირება, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად”. აღნიშნული კომპეტენცია ვერ იქნება მიღწეული, რადგან ბაკალავრი შესძლებს მხოლოდ, ინგლისურ ენაზე კომუნიკაციას, რადგან დაწესებულების მიერ წარმოგენილი იყო, მხოლოდ ინგლისური ენის (1,2,3,4) სილაბუსები.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, რადგან ჯერ კოლეჯს სტუდენტები არ ჰყავდა, ის წინასწარ ვერ განსაზღვრავდა მიმართულებებს. აღნიშნული, დაკონკრეტდებოდა სტუდენტების მოთხოვნების გათვალისწინებით.

კახი ყურაშვილის განცხადებით, თუ დაწესებულებას არ ყავს ფრანგულის, გერმანულის სპეციალისტები, არც უნდა შეიტანოს პროგრამაში. რომ ყოფილიყო ჩანაწერი, მხოლოდ ინგლისურ ენაზე, სადავოც აღარაფერი იქნებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, რომ მათი სურვილი იყო მხოლოდ, ინგლისური ენის შეთავაზება და ამით რაიმეს ხომ არ აშავებდა.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, მათ უკვე „დაშავებული“ ჰქონდათ, რადგან აბიტურიენტი შეიყვანეს შეცდომაში. პროგრამის მიხედვით ივარაუდება, რომ შესთავაზებენ სხვა ენასაც, მაგრამ რეალურად - მხოლოდ ინგლისურს. მისი განცხადებით, ამ შემთხვევაში ხარვეზი ცალსახა იყო.

1.6 ინგლისური ენის სასწავლო კურსების შემთხვევაში დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზები:

✓ ინგლისური ენა - 3 და 4-ის სასწავლო კურსების მიზნებში მითითებულია, რომ “განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ბიზნეს-ინგლისურის სწავლებას”, ამავე დროს, ორივე სასწავლო კურსის შემთხვევაში გამოიყენება მხოლოდ, ერთი სავალდებულო სახელმძღვანელო Cutting Edge (Elementary), students book by Sarah Gunningham Longman, რომელიც ასევე, გამოიყენება ინგლისური ენა - 1 და 2-ის შესწავლისას;

✓ მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური ენა - 3 ისწავლება III სემესტრში, ხოლო ინგლისური ენა - 4 - IV სემესტრში, ორივეს აქვს ერთნაირი წინაპირობა: სტუდენტს “გავლილი უნდა ჰქონდეს სახელმძღვანელოს ორი საფეხური ან დაგროვილი ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა”;

✓ ინგლისური ენა - 3 და ინგლისური ენა - 4 -ის შესწავლით მიიღწევა აბსოლუტურად ერთნაირი შედეგები, საიდანაც ოთხი - “დარგობრივი ცოდნა - გაცნობიერება”, “ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი”, “დასკვნის გაკეთების უნარი” და “ღირებულებები” სრულად იდენტურია ინგლისური ენა - 1 და ინგლისური ენა - 2 - ის სწავლის შედეგებისა. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო კურსები ინგლისური ენა - 3 და 4 უნდა იყოს მიმართული ბიზნეს - ინგლისურის შესწავლაზე, რაც არ შედის ინგლისური ენა - 1 და ინგლისური ენა - 2 -ის მიზნებში;

✓ ინგლისური ენა 1, 2, 3 და 4 - ის სწავლის შედეგებში, კერძოდ , “ღირებულებებში მითითებულია “ინგლისური ენის ცოდნის ათვისებისა და სოციალური თუ ფსიქოლოგიური თავისებურებების შესწავლის შედეგად პიროვნული და პროფესიული ღირებულებების გამომუშავება”, რაც არც სასწავლო კურსების მიზნებით და არც შინაარსით არ არის გათვალისწინებული.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, პირველ და მეორე სემესტრში არის ერთი და იგივე სახელმძღვანელო, ხოლო შემდეგ სემესტრებში - სხვა სახელმძღვანელო.

კახი ყურაშვილის განცხადებით, Elementary არის პირველი დონე და შემდგომში იზრდება. ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, მე-3 და მე-4 დონეზე, კვლავ Elementary ისწავლება. შესაბამისად, ჩნდება კითხვა, მაშინ რა ისწავლა წინა დონეზე, თან მე-3 და მე-4 დონეზე აქცენტი პროფესიულ ინგლისურზეა გაკეთებული.

თამარ გვიანიშვილის განცხადებით, აღსანიშნავი იყო, რომ შედეგებიც იდენტური იყო როგორც Elementary-თვის, აგრეთვე, ბიზნეს ინგლისურისათვისაც.

ლალი ლოღელიანმა კითხვით მიმართა ექსპერტს, თუ როგორ იყო სილაბუსებში აღნიშნული საკითხი გაწერილი.

თამარ გვიანიშვილის განცხადებით, ბიზნეს ინგლისური საერთოდ არ იყო, ხოლო ინგლისურ ენა 1 და 4-ში იგივე სახელმძღვანელოები და სწავლის შედეგები იყო გაწერილი.

1.7 სასწავლო კურსებს აქვთ იდენტური შინაარსის კომპონენტები - შესწავლის მიზნები და ამოცანები, ანოტაციები და სწავლის შედეგები. მაგალითად: სასწავლო კურსები კალკულუსი 1 და 2, სასწავლო კურსები თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები 1 და 2.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, კალკულუსი იგივე მათემატიკაა. მეორე სემესტრი არის პირველის გაგრძელება, რადგან ერთ სემესტრში ვერ ხერხდება მთლიანი პროგრამის შესწავლა.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, როცა საგანი იყოფა ნაწილებად, რადგან მასალის გათვალისწინებით ერთ სემესტრში ვერ ხერხდება ჩატევა, საგნის მიზანი მაინც ერთი რჩება.

ლალი ღოდელიანის განცხადებით, მათ შედეგები განსხვავებული უნდა ჰქონდეთ. თამარ გვიანიშვილის განცხადებით, მეორე ნაწილი მოიცავს წინა ნაწილის ცოდნასაც. კახი ყურაშვილის განცხადებით, ზოგჯერ იმდენად მექნიკურია გაყოფა, რომ მიზანი და შედეგი შეიძლება ვერ გაიმიჯნოს.

1.8 სასწავლო კურსების წინაპირობები გაუგებარია. მაგალითად:

✓ სასწავლო კურსი "ბიზნესის საფუძვლები" – "სტუდენტი კარგად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას, ჰქონდეს მასალის სათანადო დონეზე ათვისებისა და კრიტიკული აზროვნების უნარი"; სასწავლო კურსი "კალკულუსი - 1" – "კურსის მოსმენა სტუდენტს შეუძლია, თუკი ფლობს მათემატიკის სასკოლო პროგრამას, აქვს კრიტიკული აზროვნების უნარი და არჩეული პროფესიისადმი ინტერესი";

✓ სასწავლო კურსი "მიკროეკონომიკა" – "სტუდენტი უნდა ფლობდეს მშობლიური ენის ლექსიკას, ჰქონდეს კრიტიკული აზროვნების უნარი, სახელმძღვანელოების გამოყენებისა და ინტერნეტში მასალების მოძიების უნარი";

✓ სასწავლო კურსი "ფილოსოფია" – "სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობაა სკოლის კურსით მიღებული ზოგადი განათლება, სტუდენტს უნდა ჰქონდეს ჰუმანიტარული და ზოგადი განათლების მაღალი დონე, ჰქონდეს წარმოდგენა მსოფლიოს ისტორიასა და კულტურაზე, უნდა იცნობდეს თანამედროვეობას და მის პრობლემებს" და სხვა.

საბჭოს წევრმა, ანა კლდიაშვილმა, კითხვით მიმართა, თუ როგორ ამოწმებდნენ თუნდაც კრიტიკული აზროვნების უნარს, უტარებდნენ თუ არა გამოცდას.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ხო უნდა მითითებულიყო წინაპირობა და ამიტომ ჩაიწერა.

ანა კლდიაშვილის განცხადებით, წინაპირობა უნდა იყოს შემოწმებადი, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა ჩაიწეროს, რომ სასწავლო კურსს წინაპირობა არ აქვს.

1.9 სასწავლო კურსის წინაპირობებში მითითებულია არჩევითი სასწავლო კურსები – მაგალითად: სასწავლო კურსი "ეკოლოგია და გარემოს დაცვა" (წინაპირობა – არჩევითი სასწავლო კურსები "ეკონომიკური ფსიქოლოგია", "მსოფლიო ეკონომიკა"), სასწავლო კურსი "საერთაშორისო მარკეტინგი" (წინაპირობები – არჩევითი სასწავლო კურსები "ეკონომიკური ფსიქოლოგია", "მსოფლიო ეკონომიკა", "ფინანსური ბაზარი", "რეგიონული ეკონომიკა").

კახი ყურაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ როგორ შეიძლებოდა არჩევითი საგნის წინაპირობად მითითება.

კოლეჯის წარმომადგენლის განცხადებით, საგანი იყო არჩევითი სავალდებულო.

თამარ გვიანიშვილის განცხადებით, საგანი შეიძლება იყოს ან არჩევითი, ან სავალდებულო. ორივე ერთად ვერ იქნება.

კახი ყურაშვილი დაეთანხმა ექსპერტს და განაცხადა, რომ მსგავსი რამ წარმოუდგენელი იყო.

კოლეჯის წარმომადგენლის განცხადებით, საგნები სავალდებულო იყო.

გადამოწმდა პროგრამა და ექსპერტმა, თამარ გვიანიშვილმა, განაცხადა, რომ აღნიშნული საგნები არა სავალდებულო, არამედ არჩევითი იყო.

1.10 არ არის სასწავლო კურსის/კომპონენტის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა – მაგალითად, სასწავლო კურსი "კომპიუტერული ბუღალტერია" მიზნად ისახავს "შეასწავლოს სტუდენტებს კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამა", ამავე დროს არც ერთ კომპიუტერში არ იყო ჩატვირთული შესაბამისი კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამა.

კოლეჯის წარმომადგენლის განცხადებით, ექსპერტებს არ შეუძლონ დასაბუთება ყველა კომპიუტერი, ამასთან, პროგრამისტი არ იყო ადგილზე.

თამარ გვიანიშვილის განცხადებით, შემოწმებული იქნა ყველა კომპიუტერი, ამასთან, მათ განმარტეს, რომ პროგრამისტთან დაკავშირება ვერ ხერხდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მათ ჩატვირთეს პროგრამა და წარმოადგინეს ელექტრონული მატარებელი.

კახი ყურაშვილის განცხადებით, ექსპერტთა ვიზიტი იმისთვის არსებობს, რომ მათ ადგილზე დახვდეთ და შეამოწმონ ყველა საჭირო დოკუმენტი და რესურსი. საბჭოს სხდომაზე ვერ შემოწმდება აღნიშნული პროგრამა ლიცენზირებული არის თუ არა, ამასთან, რეალურად, ჩატვირთული არის თუ არა ეს პროგრამები.

1.11 აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ “სტუდენტთა შეფასების სისტემაში” და საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში მითითებულია, რომ სემესტრის განმავლობაში სტუდენტის მიერ გაწეული შრომის შეფასება უნდა ითვალისწინებდეს: დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას, შუასემესტრულ რეიტინგულ შეფასებასა და სემესტრის საბოლოო გამოცდის შეფასებას. სტუდენტის საბოლოო შეფასებაში დაფიქსირებული ქულა წარმოადგენს - შეაღებული შეფასებების, დამოუკიდებელი მუშაობისა და საბოლოო გამოცდის შეფასებების ჯამს. სასწავლო კურსების სილაბუსებიდან ირკვევა, რომ დამოუკიდებელი მუშაობის შეფასების მაქსიმალურ 30 ქულაში მოიაზრება დასწრება და სააუდიტორო აქტივობა 7+23 სთ. იგი აერთიანებს შემდეგ კომპონენტებს: ლექციაზე დასწრებას (მაქსიმუმ 7 ქულა), პრაქტიკულ და სემინარულ მეცადინეობებზე აქტიურობას (14 ქულა), შეთავაზებული თემატიკიდან არჩეული თემის პრეზენტაციას ან დისკუსია/დებატებში მონაწილეობას (9 ქულა). არჩევანს აკეთებს სტუდენტი. უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელი მუშაობა არის სტუდენტის მიერ დამოუკიდებლად, არასაკონტაქტო საათებში განხორციელებული ინდივიდუალური საქმიანობა, მასში არ უნდა მოიაზრებოდეს დასწრება და სააუდიტორო აქტივობა და ის არ შეიძლება შეფასდეს სილაბუსებში მითითებული წესის შესაბამისად. აღნიშნული შეფასების სისტემა არ შეესაბამება “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მე-2 მუხლის პირველ პუნქტს.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სამუშაო ჯგუფებში, ლაბორატორიულ მეცადინეობებსა და პრაქტიკულებზე დასწრება დამოუკიდებელი მუშაობაა და ქულით აღინიშნება.

თამარ გვიანიშვილის განცხადებით, ლექციაზე დასწრება ვერ ჩაითვლება დამოუკიდებელ მუშაობად.

საბჭომ გაიზიარა ექსპერტის მოსაზრება.

1.12 ყველა სასწავლო კურსის სილაბუსებში საკონტაქტო საათებში მოიაზრება კონსულტაციის საათები. კონსულტაციები არ წარმოადგენს სტუდენტის დატვირთვას (საქმიანობას), რომელზეც ნაწილდება სასწავლო კურსისთვის გათვალისწინებული კრედიტების საკონტაქტო საათები, რადგან ეს არ შეესაბამება “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მე-2 მუხლის პირველ პუნქტს.

კახი ყურაშვილის განცხადებით, აღნიშნული შენიშვნა წინა ხარვეზის გაგრძელებას წარმოადგენდა, რადგან აქაც საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების დაჯამების პრობლემა იკვეთებოდა.

1.13 დაწესებულებას აქვს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო საფეხურისათვის “სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის

პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები”. მითითებულ რეგულაციაში არსებობს უზუსტობები და მოქმედი კანონმდებლობის შეუსაბამო ინფორმაცია, მაგალითად:

✓ ”გამოცდების ეროვნული ცენტრი ადგენს ეროვნულ გამოცდაგავლილი აბიტურიენტების სიებს, რომლებმაც სწავლის უფლება მოიპოვეს აკადემიური ან პროფესიული უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე”;

✓ ”სტუდენტის სტატუსი მოიპოვება კოლეჯში პირის ჩარიცხვით”;

✓ ”კოლეჯი აკრედიტაციის შედეგად განსაზღვრულ სტუდენტთა რაოდენობის ფარგლებში განსაზღვრავს ადგილებს...”;

✓ ”შეჩერებული სტატუსის აღდგენა დასაშვებია აკრედიტაციით განსაზღვრული რაოდენობის ფარგლებში”;

✓ ”სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან 6 თვის შემდეგ”;

✓ ”ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტებს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში სტატუსი შეიძლება აღუდგეს ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე - არაუმეტეს 3 წლის განმავლობაში”;

✓ ”სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს სსიპ - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი”;

✓ ”მობილობის უფლება აქვს სტუდენტს, რომელიც არის არაკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი, თუ ამ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი საგანმანათლებლო პროგრამა ან პროგრამის ნაწილი კანონმდებლობით დადგენილი წესით მას ეთვლება აკრედიტებულად” და სხვ.

ამით დარვეულია მოქმედი კანონმდებლობის - ”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის, ”საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების, ”უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისი ნორმების მოთხოვნები.

კახი ყურაშვილის განცხადებით, ტერმინოლოგიური შეცდომები, უკვე არა შემთხვევითობას, არამედ დაწესებულებაში დოკუმენტაციის შედგენის საერთო სურათს ადგენს და ცალსახაა, რომ კოლეჯი ძველი კანონმდებლობით ხელმძღვანელობდა.

თამარ გვიანიშვილის განცხადებით, დაწესებულება ხელმძღვანელობდა კანონმდებლობით, რომელიც მეტწილად ძალადაკარგულად არის ცნობილი, ამდენად, არსებობს შეუსაბამობა მოქმედ კანონმდებლობასთან.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ის პირველად არ გადიოდა ავტორიზაციის პროცედურას და განსხვავებული ხარვეზები ფიქსირდებოდა ყოველ ჯერზე. მისი განცხადებით, წინა ვიზიტისას, მხოლოდ, ფართის კანონიერად ფლობის პრობლემა იყო.

კახი ყურაშვილის განცხადებით, შესაძლოა წინა საექსპერტო ვიზიტის შემდგომ შეიქცალა კანონმდებლობა. მისი განცხადებით, ექსპერტს არანაირი სუბიექტური მოტივი არ ამოძრავებდა შემოწმებისას, არამედ კანონმდებლობის ცვლილებასთან ერთად იცვლებოდა სტანდარტები, მკაცრდებოდა და ამით იყო გამოწვეული ყოველივე. ის, რაც დღეს ითვლებოდა ხარვეზად, შესაძლოა, მომდევნო დღეს აღარ იყოს ხარვეზი და პირიქით. მთავარია, რომ დაწესებულებამ თვალყური ადევნოს და ფეხი აუწყოს სიახლეებს.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 დაწესებულების მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის განხორციელება. დაწესებულებამ სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის განხორციელებისთვის საჭირო მემორანდუმი, ან სხვა რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულებას ჰქონდა სიტყვიერი შეთანხმება ბანკებთან სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის განხორციელების თაობაზე.

კახი ყურაშვილის განცხადებით, პიროვნული ურთიერთობები ვერ იქნებოდა საფუძველი, რადგან შესაძლოა ის პირი მეორე დღეს აღარ ყოფილიყო თანამდებობაზე და სასწავლო პროცესი ჩაშლილიყო. ხელშეკრულების გაფორმება ყველაზე მარტივი საქმე უნდა ყოფილიყო მათთვის.

2.2 დაწესებულებაში არის ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, კერძოდ 4 ცეცხლმაქრი, რომელიც განთავსებულია შენობის სამივე სართულზე. დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ 2 ცეცხლმაქრის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

კახი ყურაშვილის განცხადებით, აღნიშნული, არაარსებითი ხარვეზი იყო, რადგან დაწესებულებას, ვიზუალურად, უდასტურებოდა ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის ფლობა.

2.3 დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრულია „ელექტრონული სწავლება“, რომლის უზრუნველყოფისათვის დაწესებულებას არ გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი. დაწესებულებას, ასევე, არ გააჩნია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები. კერძოდ, კომპიუტერული ბუღალტერიის სასწავლო კურსის სილაბუსის სწავლის შედეგებში მითითებულია შემდეგი: „კურსის გავლის შემდეგ სტუდენტებმა უნდა შეძლონ კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამების მეშვეობით საბუღალტრო სამუშაოების კომპიუტერზე აწყობა, მისი დამუშავება და საბოლოო შედეგების მიღება“. დაწესებულებაში არსებული არც ერთი კომპიუტერი არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი საბუღალტრო პროგრამებით.

კახი ყურაშვილის განცხადებით, აღნიშნული ხარვეზი განიხილეს პროგრამულ ნაწილში.

თამარ გვიანიშვილის განცხადებით, ელექტრონული სწავლება გულისხმობს დისტანციურ სწავლებასაც და დაწესებულება არ ფლობდა შიდა ქსელს, ვიდეოთვალეზს და ა.შ.

2.4 დაწესებულებას პერიოდიკის მიწოდებაზე ხელშეკრულება არა აქვს გაფორმებული. ბიბლიოთეკა საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში არ არის ჩართული.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, პერიოდიკისა და ქსელის ფლობის არსს ვერ ხედავდა, მაშინ, როდესაც ჯერ კოლეჯს სტუდენტები არ ჰყავდა.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, სტანდარტები არსებობდა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მამდიებელი უნდა აკმაყოფილებდეს აღნიშნულ სტანდარტებს.

2.5 დაწესებულებამ წარმოადგინა ვებპოსტინგისა და დომენის ფლობის დამადასტურებელი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც დომენი – www.tebico.ge რეგისტრირებულია არა შპს – თელავის ბიზნესისა და მართვის კოლეჯ ჯორჯიაზე, არამედ ლიანა ჯანაშიაზე. აღნიშნული ვებგვერდი, ნაწილობრივ ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე მოცემულია შპს – საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ჯორჯიას“ დირექტორის მიერ 2010 წლის 20 ივლისს დამტკიცებული წესდება, მაშინ

როდესაც ექსპერტთა ვიზიტის დროს შპს – თელავის ბიზნესისა და მართვის კოლეჯ „ჯორჯიაში“ მოქმედებდა 2012 წლის 4 მაისს დამტკიცებული წესდება. დაწესებულების ვებგვერდზე, ასევე, განთავსებულია 2010 წლის 18 ოქტომბერს დამტკიცებული შპს – საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ჯორჯიას“ შინაგანაწესი, რომელიც ექსპერტთა ვიზიტის დროს კოლეჯში აღარ მოქმედებდა. შესაბამისად, ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის განახლება არ ხდება რეგულარულად, არ არის დაცული ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

კოლეჯის წარმომადგენლის განცხადებით, რადგან მათ ავტორიზაცია არ ჰქონდა, დომენი არ გაფორმდა კოლეჯის სახელზე, ხოლო საიტზე, მისი განცხადებით, წელი იყო მხოლოდ გასასწორებელი.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, არამართო წელი, არამედ, მთლიანად იყო შესაცვლელი, რადგან დაწესებულებას აღარ სურდა სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსი და სურდა კოლეჯის სტატუსის მოპოვება.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

3.1 დაწესებულების აკადემიური პერსონალი შედგება სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორებისგან. ვინაიდან შპს - თელავის ბიზნესისა და მართვის კოლეჯი ჯორჯია წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტ ჯორჯიას სამართალმემკვიდრეს, აკადემიური პერსონალი შერჩეული ჰყავთ სასწავლო უნივერსიტეტში მიღებული თანამშრომლებიდან, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს კოლეჯში მუშაობის შესახებ, გადმოყვანილი იქნენ საათობრივი ანაზღაურების წესით. კოლეჯის მხოლოდ სამი აკადემიური პერსონალი არის შერჩეული კონკურსის წესით, მათ შორის ერთი სრული, ერთი ასოცირებული და ერთი ასისტენტ პროფესორი. აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ე ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-11 მუხლის „გ.ა“ ქვეპუნქტს, რომლის თანახმადაც, კოლეჯში უნდა იყოს არანაკლებ 10 პროფესორი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ახალი სუბიექტი შეიქმნა, თუ მხოლოდ სახელი იქნა შეცვლილი დაწესებულების მიერ.

ლაშა მარგიშვილის განცხადებით, სახელი იქნა შეცვლილი, ხოლო საიდენტიფიკაციო კოდი იგივე დარჩა.

თამარ გვიანიშვილის განცხადებით, კოლეჯში კონკურსი ჩატარებული იყო და 3 აკადემიური პერსონალი იყო არჩეული.

ლაშა მარგიშვილის განცხადებით, სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარებული კონკურსის მასალები არ იქნა წარმოდგენილი დაწესებულების წარმომადგენლების მიერ.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ძველი კონკურსის მასალებს არ ფლობდნენ.

შესველება გამოცხადდა 21:58 საათზე.

სხდომა განახლდა 22:37 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, საბჭომ იმსჯელა ყველა ხარვეზის შესახებ. რაც სხდომის მიმდინარეობის დროს მოიხსნა, ის არ იქნა გათვალისწინებული. სადავო საკითხები, აგრეთვე, არ იქნა მხედველობაში მიღებული საბჭოს წევრების მიერ, მაგრამ კვლავ დარჩა უამრავი საკითხი, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და სტანდარტებს.

საბჭომ იმსჯელა შპს - ბიზნესისა და მართვის კოლეჯ „ჯორჯიას“ ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ბიზნესისა და მართვის კოლეჯ „ჯორჯიას“ ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, „უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 56⁴-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - თელავის ბიზნესისა და მართვის კოლეჯ ჯორჯიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 431165464) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

7. შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ გორგასალის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 მიღწევად რეჟიმში არსებულ „სამართლის“ საბაკალვრო პროგრამით გათვალისწინებულ „კომუნიკაციის უნარში“ მითითებულია, რომ „პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაცია, ცოდნის დამაჯერებლად წარმოჩენა მშობლიურ და უცხო ენაზე“. აღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამაში 20 კრედიტი ეთმობა უცხო ენას, რომელიც წარმოდგენილია სტუდენტთა მიერ უცხო ენის ცოდნის დონეების შესაბამისად. თუმცა, ამ პროგრამის სასწავლო გეგმაში არ არის გათვალისწინებული დარგობრივი უცხო ენის სწავლება, რაც სასურველია პროგრამით გათვალისწინებული შედეგის მისაღწევად.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სწავლების პირველი წელი იყო ზოგადი ხასიათის, ხოლო მე-3 და მე-4 სემესტრში - მცირე დოზით იყო შეტანილი დარგობრივი ენის სწავლების ელემენტები.

ლაშა მარგიშვილის განცხადებით, ენა ისწავლებოდა, მხოლოდ ბიზნეს სამართლის კუთხით.

1.2 ამავე პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილ 7 სასწავლო კურსთან დაკავშირებით დარღვეულია წინაპირობები. კერძოდ: კურსის - „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების“ (მე-4 სემესტრი) წინაპირობაა კურსი - „სახელშეკრულებო სამართალი“, რომელიც ისწავლება იმავე, მე-4 სემესტრში. კურსის „ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“ (მე-6 სემესტრი) წინაპირობად მითითებულია „სამოქალაქო სამართლის პროცესი“, რომელიც ისწავლება ასევე მე-6 სემესტრში. კურსი „საქართველოს საარჩევნო სამართალი“, ისწავლება მე-3 სემესტრში, მასზე დაშვების წინაპირობად, კი მითითებულია სასწავლო კურსი „ადამინისტრაციული საპროცესო სამართალი“, რომელიც ისწავლება მე-7 სემესტრში. სასწავლო კურსი „საფინანსო სამართალი“ ისწავლება მე-5 სემესტრში, რომლის წინაპირობად მითითებულია კურსები: „საკორპორაციო სამართალი“ და „სამოქალაქო სამართლის პროცესი“, რომლებიც ისწავლება მე-6 სემესტრში. სასწავლო კურსი „მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი“ ისწავლება მე-4 სემესტრში, წინაპირობად აქვს მითითებული სასწავლო კურსი „სამოქალაქო სამართლის

პროცესი“, რომელიც ისწავლება მე-6 სემესტრში. სასწავლო კურსი „გაკოტრების სამართალი“ ისწავლება მე-6 სემესტრში, წინაპირობად მითითებულია „საკორპორაციო სამართალი“, რომელიც აგრეთვე მე-6 სემესტრში ისწავლება. სასწავლო კურსი „დაზღვევის სამართალი“ ისწავლება მე-6 სემესტრში, მისი წინაპირობაა „სამოქალაქო სამართლის პროცესი“, რომელიც ისწავლება ასევე მე-6 სემესტრში.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ისინი იზიარებენ აღნიშნულ შენიშვნას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, იყო თუ არა იგივე პრობლემა სილაბუსებშიც.

ლაშა მარგიშვილის განცხადებით, პროგრამაში, ბადესა და ზოგიერთ სულაბუსში იყო აღნიშნული შეცდომები.

კახი ყურაშვილმა კითხვით მიმართა სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელს, თუ რამდენი სტუდენტი ირიცხებოდა მიღევად რეჟიმში.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, უნივერსიტეტს, მიღევად რეჟიმში ჰყავდა 112 სტუდენტი. მისი განცხადებით, მათ გამოასწორეს აღნიშნული ხარვეზები და წარმოადგინეს დოკუმენტაცია.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 შპს – თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი გორგასლი 2012 წლის 27 მარტს გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირი, მე – 2 ჩიხი, №5–ში მდებარე 7 სართულიან შენობა-ნაგებობა. შენობის მე-4 და მე-5 სართულებზე (სასწავლო ფართი - 262.81 კვ.მ) დადებული ქირავნობის ხელშეკრულება ექსპერტთა ვიზიტის დროს საჯარო რეესტრში არ იყო რეგისტრირებული. დანარჩენ სართულებზე გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, მე-2 ჩიხი, №5	2158

დაწესებულების სასწავლო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, მე-2 ჩიხი, №5	917.37

დაწესებულების დამხმარე ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, მე-2 ჩიხი, №5	1240.63

შენიშვნა: აღნიშნულ ფართში არ შედის:

1. შენობა-ნაგებობის მე-4 და მე-5 სართულებზე არსებული ფართი (სასწავლო ფართი - 262.81 კვ.მ).

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მათ დაარეგისტრირეს აღნიშნული ფართიც და წარმოადგინეს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

2. სასწავლო ფართში არ არის დაფიქსირებული ავტოფარეხში განთავსებული სპორტული დარბაზი (488 კვ.მ). აღსანიშნავია, რომ სასწავლო უნივერსიტეტის

საგანმანათლებლო პროგრამებში თავისუფალი კომპონენტების ჩამონათვალში წარმოდგენილია კურსი: „სპორტული აქტივობა“. დაწესებულებას აქვს მაგიდის ჩოგბურთის ორი მაგიდა და სხვა სპორტული ინვენტარი. თუმცა, აღნიშნული კურსი ნაკლებად უკავშირდება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებს.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სპორტული აქტივობები სჭირდებათ პროგრამების განსახორციელებლად.

ლამა მარგიშვილმა დაადასტურა, რომ ფართი გამოყენებადია სპორტული დარბაზის მიზნებისათვის.

3. სასწავლო ფართში არ არის დაფიქსირებული მე – 2 და მე –3 სართულებზე არსებული 5 სასწავლო აუდიტორია (საერთო ფართი – 267.42 კვ.მ.). აღნიშნულ 5 აუდიტორიას არა აქვს გარეთ გამავალი ფანჯარა, თუმცა მოცემულ აუდიტორიებს აქვთ საჰაერო ვენტილაციის სისტემა და ე.წ. „დღის განათების“ ელექტროგანათება.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული ფართი გამოიყენებოდა ვიდეო მასალის გაშუქებისას.

კახი ყურაშვილის განცხადებით, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოა, რადგან ოთახების ვენტილაცია ხდება და დაწესებულება, მათი განცხადებით, აღნიშნულ ფართს მიზნობრივად იყენებს.

ლამა მარგიშვილის განცხადებით, ორ აუდიტორიას აქვს გამავალი ფანჯარა, ანუ მეორადი განათება, ხოლო 3 ოთახს - არც მეორადი განათება არა აქვს.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, დაწესებულებას კონტიგენტის განსაზღვრის ნაწილში ჩათვლებოდა 2 ოთახი, ხოლო 3, სავარაუდოდ, - არა.

2.2 სასწავლო უნივერსიტეტს პირველ და მეოთხე სართულებზე აქვს 2 შესასვლელი. პირველ სართულზე განლაგებულია სასწავლო აუდიტორია და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის დამონტაჟებულია ადაპტირებული სველი წერტილი. ბიბლიოთეკა განთავსებულია მეოთხე სართულზე, სადაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტს აქვს შესაძლებლობა დამოუკიდებლად გადაადგილდეს. კომპიუტერული კლასები და სტომატოლოგიის სასწავლო პრაქტიკის ლაბორატორია განთავსებულია შენობის მე-3 სართულზე. მე-3 სართულთან დამაკავშირებელი პანდუსები ან ლიფტი დაწესებულებაში არ არის დამონტაჟებული.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, კიბის უჯრედი იმდენად ვიწრო იყო, რომ შეუძლებელი გახდა პანდუსის დამონტაჟება.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, შესაძლებელი იყო ასაკეცი პანდუსის დამონტაჟება.

სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, პირველ სართულზე იქნა ჩამოტანილი კომპიუტერები, ამდენად, სსსმ სტუდენტს ექნებოდა წვდომა ყველა ტიპის სასწავლო ფართზე.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

3.1 დაწესებულებას, ავტორიზაციის მიზნებისთვის აკადემიურ პერსონალში არ ჩათვლება სუბიტაშვილი დავითი (სრული პროფესორი) და ოჩიგაცა გოჩა (ასოცირებული პროფესორი). სუბიტაშვილი დავითი პროფესორ - მასწავლებლების ერთიან რეესტრში ასოცირებულ პროფესორად დაფიქსირებულია შემდეგ საგანმანათლებლო დაწესებულებებში: შპს - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი და შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი. ოჩიგაცა გოჩა პროფესორ -

მასწავლებლების ერთიან რეესტრში ასოცირებულ პროფესორად დაფიქსირებულია შემდეგ საგანმანათლებლო დაწესებულებებში: შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი და შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რას აცხადებდნენ აღნიშნული პიროვნებები.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მას პირველად ესმოდა მსგავსი შენიშვნა და იგი დასკვნაში არ ფიქსირდებოდა.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის, ნანა ჭილაძის, განცხადებით, აღნიშნული, სერიოზული განაცხადი იყო და ის აუცილებლად უნდა გადამოწმებული საბჭოს სხდომაზე.

წარმოდგენილი იქნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, სადაც ცალსახად ეწერა ზემოაღნიშნული შენიშვნა.

სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ბოდიში მოუხადა საბჭოს წევრებს გაუგებრობისათვის.

კონსტატინე ჩოკორაიას განცხადებით, აკადემიურმა პერსონალმა უნდა მომართოს ცენტრს და მიაკუთვნოს თავი კონკრეტულ დაწესებულებას.

კახი ყურაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, სუბიტაშვილის ალტერნატივა თუ ჰყავდა სასწავლო უნივერსიტეტს.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მათ ალტერნატივა არ ჰყავდა. იმ ეტაპისათვის გამოცხადებული იყო კონკურსი და სასწავლო უნივერსიტეტში იყვნენ მოწვეული პროფესორები.

საბჭოს თავმჯდომარემ იმავე კითხვით მიმართა ოჯიგავა გოჩაზეც.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მოწვეული პროფესორები ჰყავთ ალტერნატივად.

კახი ყურაშვილის განცხადებით, მოწვეული პროფესორები ეთვლებათ პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის.

შესვენება გამოცხადდა 23:00 საათზე.

სხდომა განახლდა 23:17 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ინგლისურ ენასთან დაკავშირებით შენიშვნა არ იქნება გაზიარებული, რადგან მიზანი სრულდება, ვინაიდან ბიზნეს სამართლის დარგობრივი ენა გარკვეულწილად ისწავლება.

ფართთან დაკავშირებული პრობლემა გამოსწორებულია და საბჭოს პრაქტიკის გათვალისწინებით, რადგან არსებობს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, აღნიშნული ფართი დაწესებულებას ეთვლება. იქვე დაამატა, რომ მეორადი განათების მქონე ოთახები ითვლება სასწავლო ფართად, ხოლო 3 უფანჯრო ოთახი - დამხმარე ფართად. ხოლო ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რადგან ზემოაღნიშნული ორი პროფესორის შემცვლელი დაწესებულებას ჰყავდა, ეს ხარვეზი ავტორიზაციის დამაბრკოლებელ გარემოებად არ იქნება მიჩნეული.

კახი ყურაშვილის განცხადებით, განსაკუთრებული აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია წინაპირობებთან დაკავშირებულმა შენიშვნამ. მისი განცხადებით, საბჭოს ერთმა ნაწილმა მიიღო მხედველობაში, რომ საქმე მიღევად რეჟიმში მყოფ სამართლის პროგრამას ეხება და ამ გარემოების გამო მიიჩნია, რომ არ უნდა იმსჯელონ მიღევად რეჟიმში არსებულ სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე და რომ ეს საკითხი არ არის რელევანტური მომდევნო 5

წლისათვის ავტორიზაციის მინიჭების ფარგლებში, ხოლო მეორე ნაწილმა მიიჩნია, რომ ეს არსებითი ხარვეზია და არის პროგრამებთან დაკავშირებული სტანდარტის დარღვევა, მითუმეტეს ამ პროგრამის განსახორციელებლად აუცილებლად საჭიროა აკრედიტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებას სურდა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 1000-ით.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებითა და ექსპერტთა ჯგუფის პოზიციის გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის სტუდენტთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, განაცხადა, რომ შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი გორგასალი, მისი მატერიალური რესურსის, კერძოდ, ფართის გათვალისწინებით, შეეძლო 600 სტუდენტთა შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ გორგასალის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ გორგასალის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 3

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ გორგასალს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204931985) 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600-ით.

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს კახი ყურაშვილმა და ანა კლდიაშვილმა, რომელთა აზრით, წინაპირობებთან დაკავშირებული ხარვეზი იყო არსებითი ხასიათის.

8. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირდა შენიშვნები როგორც საგანმანათლებლო პროგრამების, ისე მატერიალური და ადამიანური რესურსის ნაწილში. ამასთან, დაწესებულებამ ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ ცენტრში წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია, რომლის შესწავლის შედეგად დადასტურდა ყველა ხარვეზის გამოსწორების ფაქტი, გარდა მატერიალური რესურსის ნაწილში დაფიქსირებული შემდეგი შენიშვნებისა:

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ მდებარეობს ქ. თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩაზე. შენობა-ნაგებობა სამსართულიანია და აღნიშნულ ფართში განთავსებულია აუდიტორიები, სასწავლო პრაქტიკის ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციისთვის განკუთვნილი ოთახები. მოცემული შენობა საჯარო რეესტრში არ არის რეგისტრირებული, შესაბამისად იგი, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ მართლზომიერ მფლობელობაში ვერ უდასტურდება.

1.2 ხიზანიშვილის ქუჩაზე არსებული სასწავლო ფართი აღჭურვილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი სასწავლო ინვენტარით, კერძოდ, - ინდივიდუალური მერხებით; სკამებით; დაფებით; პერსონალური კომპიუტერებით. შენობაში განთავსებულია მძიმესამშენებლო ტექნიკის, ავტოდიაგნოსტიკის, ჭრა-კერვის სასწავლო პრაქტიკის ლაბორატორიები. დაწესებულებამ აღნიშნული ინვენტარზე მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა.

1.3 დაწესებულებამ საწარმოო პრაქტიკის განხორციელებისთვის საჭირო მემორანდუმები, ან სხვა რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა.

1.4 დაწესებულების მესამე სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, სადაც ინახება მხოლოდ - ინფორმაციული ტექნოლოგიის საფუძვლების, ბიზნეს კომუნიკაციის, ელექტროსამონტაჟო სამუშაოთა ტექნოლოგიის, შემდუღებლის, კალატოზის, მღებავის, რკინა-ბეტონის სამუშაოთა მწარმოებლის, ინგლისური ენის სასწავლო წიგნები. შესაბამისად, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი არ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში მითითებულ ლიტერატურას. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა არსებული წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

1.5 დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები.

1.6 შენობაში ევაკუაციის გეგმები არ არის გამოკრული. დაწესებულებას სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები არ გააჩნია.

1.7 დაწესებულებაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ადაპტირებული სველი წერტილი არ არის დამონტაჟებული.

1.8 დაწესებულების ვებგვერდია www.communitycollege.blog.com. მასზე განთავსებულია კოლეჯის ისტორია, ფოტოალბომი და საკონტაქტო ინფორმაცია. შესაბამისად, ვებგვერდი საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას სრულყოფილად ვერ ასრულებს.

1.9 დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, რომლებიც ითვალისწინებენ, როგორც ადამიანური, ასევე მატერიალური რესურსების ეფექტიანად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმების დახვეწასა და განვითარებას. აღნიშნული გეგმები დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ არ იყო დამტკიცებული.

თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მადიებული დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების უმეტესობა გამოსწორებულია. რაც შეეხება მატერიალური რესურსის ნაწილში დაფიქსირებულ შენიშვნებს, წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი ეთანხმება ექსპერტთა შეფასებას, თუმცა საყურადღებოდ მიაჩნია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 10 ოქტომბრის №222/5 ბრძანებით ცვლილება შევიდა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-40 მუხლში, რომლის თანახმად, 2013-2014 სასწავლო წლის დაწყებამდე სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ იმ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, რომლების მატერიალური რესურსით აღჭურვასაც ახორციელებს სახელმწიფო, არ ვრცელდება ამ დებულების მე-7 მუხლის მოთხოვნები.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლისათვის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, საბჭო პუნქტობრივად გაივლიდა ყველა შენიშვნას, რის შემდეგაც მოხდებოდა დასახელებულ საკანონმდებლო ცვლილებაზე მსჯელობა.

1.1 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ შენობა მართლზომიერ მფლობელობაში ამ ეტაპზე ვერ უდასტურდება, თუმცა შენობის გადმობარების თაობაზე მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან.

1.2 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ სპეციალურად სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისათვის“ შეიძინა ქონება, რომლის გადმოცემის პროცესი მიმდინარეობს და უახლოეს პერიოდში დასრულდება. შესაბამისად, მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა.

თავჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, არსებობდა თუ არა ჩამონათვალი იმ ქონებისა (თუნდაც, დანართის სახით), რომლის გადაცემასაც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო გეგმავდა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისათვის“.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დანართის შედგენა მოხდებოდა უშუალოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დროს, როდესაც დასრულებული იქნებოდა დაწესებულებისათვის ქონების გადაცემის პროცესი.

თავჯდომარემ განმარტა, რომ როგორც წესი, დანართი მითითებულია ბრძანებაში და წარმოადგენს ბრძანების განუყოფელ ნაწილს. ამასთან, თუ არ არსებობს დანართი, შეუძლებელია იმის დადგენა, რა სახის ქონების გადაცემა იგეგმება დაწესებულებისათვის და რამდენად უზრუნველყოფს იგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევას.

1.3 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ამ ეტაპზე უკვე გაფორმებული ჰქონდა საწარმოო პრაქტიკის განხორციელებისთვის საჭირო მემორანდუმები.

მომხსენებელმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ, დაადასტურა 1.3 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების მიერ ხარვეზის გამოსწორების ფაქტი. შესაბამისად, საბჭომ მოხსნა 1.3 შენიშვნა.

1.4, 1.5, 1.6, 1.7, 1.8 და 1.9 შენიშვნებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხარვეზი ამ დროისათვის არ იყო გამოსწორებული. ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელმა აპელირება მოახდინა ზემოთ დასახელებულ საკანონმდებლო ცვლილებაზე.

თავჯდომარემ განაცხადა, რომ ცალკე საკითხია ქონების ფლობის დადასტურება და ცალკე საკითხია გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალების წარმოება.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ექსპერტთა ვიზიტის დროს მართლაც არ მიმდინარეობდა გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა, თუმცა ამ ეტაპზე უკვე დაწყებული იყო ჟურნალის წარმოება.

თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს შესაბამისად ნაწარმოები ჟურნალების წარმოდგენა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ჟურნალის წარდგენა მას არ შეეძლო, თუმცა ადასტურებდა, რომ ხდებოდა კორესპონდენციისათვის ნომრის მინიჭება.

თავჯდომარემ განაცხადა, რომ მხოლოდ ნუმერაცია არ არის საკმარისი, დოკუმენტბრუნვის სანდოობისათვის აუცილებელია, არსებობდეს ჟურნალი, რომელშიც მოხდება გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის სანდო აღრიცხვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა სთხოვა საბჭოს ემსჯელა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 10 ოქტომბრის №222/ნ ბრძანებით განხორციელებული ცვლილების თაობაზე.

თავჯდომარემ გაითვალისწინა დაწესებულების წარმომადგენლის შუამდგომლობა და საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით, 23 საათსა და 44 წუთზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება. საბჭოს თავჯდომარის მითითებით, სათათბირო ოთახში გავიდნენ მხოლოდ საბჭოს წევრები.

საბჭო განახლდა 23 საათსა და 58 წუთზე.

თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს სხდომის მომდევნო დღეს (24.10.2012) გაგრძელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

23 საათსა და 59 წუთზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 00 საათსა და 11 წუთზე.

თავჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭო გაეცნო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 10 ოქტომბრის №222/ნ ბრძანებას, რომლითაც ცვლილება შევიდა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-40 მუხლში. კერძოდ, მე-40 მუხლს დაემატა მე-5 პუნქტი და იგი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „2013-2014 სასწავლო წლის დაწყებამდე სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ იმ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, რომლების მატერიალური რესურსით აღჭურვასაც ახორციელებს სახელმწიფო, არ ვრცელდება ამ დებულების მე-7 მუხლის მოთხოვნები.“ თავისმხრივ, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-7 მუხლში საუბარია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსის სტანდარტი დაკმაყოფილებულია, თუ:

„ა) დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა.ა) ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებკონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;

ა.ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ბ) დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;

გ) დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;

დ) საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;

ე) დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;

ვ) დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ვ.ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ვ.ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

ვ.გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

ვ.დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ზ) დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;

თ) ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია

(დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;

ი) შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.“

თავჯდომარემ, საბჭოს სახელით, გამოხატა შეშფოთება დებულების მე-40 მუხლის მე-5 პუნქტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ განხორციელებული ცვლილების მიზანია, ყველა ზემოთჩამოთვლილი მოთხოვნის დაკმაყოფილების გარეშე, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულმა პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გაიაროს ავტორიზაცია, რაც ცალსახად და არაორაზროვნად ეწინააღმდეგება ამ დრომდე არსებულ განათლების პოლიტიკის მიზნებს და ამავედროულად, არის როგორც კანონსაწინააღმდეგო (ეწინააღმდეგება „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონს), ასევე არაკონსტიტუციური („თანაწილობის პრინციპი“);

შესაბამისად, საბჭომ იმსჯელა მოცემულ საკითხზე და მიიჩნია, რომ ერთია ავტორიზაციის დებულება და მეორეა „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი, სადაც ჩამოყალიბებულია ყველა ის სტანდარტი, რომლის დაცვაც მოეთხოვება საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მსურველს, განურჩევლად მისი სამართლებრივი და დაფუძნების ფორმისა. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად, საქართველოს საკანონმდებლო აქტებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ. მოცემულ შემთხვევაში, საბჭო გამოყოფს ორ პრობლემას: ა) შინაარსობრივი - იმის გათვალისწინებით, რომ მატერიალური რესურსის გარეშე ძნელად წარმოსადგენია არსებობდეს საგანმანათლებლო დაწესებულება და ბ) ფორმალურ-იურიდიული - ავტორიზაციის მიზნებისათვის მატერიალური რესურსის სტანდარტის დაკმაყოფილების მოთხოვნა შესაძლებელია დროებით შეჩერდეს, მაგრამ ეს უნდა მოხდეს არა კანონქვემდებარე, არამედ კანონის ძალის მქონე აქტით. სხვა შემთხვევაში, კანონით დადგენილი სტანდარტი, ვერ იქნება უგულებელყოფილი კანონქვემდებარე აქტით.

თავჯდომარემ აქვე განმარტა, რომ დაწესებულებას უფლება ჰქონდა გაესაჩივრებინა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი წესით ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

შესაბამისად, თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 200279448) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 00:19 საათზე.

კახი ყურაშვილი
თავმჯდომარე

ანა კლდიაშვილი
მდივანი